განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმა

ა(ა)იპ - თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

ია ქურიძე - ზოგადი განათლების ექსპერტი

წევრ(ებ)ი:

ნიკა უთალიშვილი - ზოგადი განათლების ექსპერტი

ნაწილი I. შესავალი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ იმავე მუნიციპალიტეტში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

☒ **არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	ა(ა)იპ - თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	404378874

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	თბილისი
ფაქტობრივი მისამართი	ქ. თბილისი, წყნეთის გზატკეცილი N63
საფოსტო ინდექსი	0162
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://deutscheschule.ge/ka
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	info@deutscheschule.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	0322 29 31 00

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	,,ა(ა)იპ- თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირის ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ'' სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2026 წლის 15 მაისის N MES 9 26 0000576233 ბრძანება

ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	2026 წლის 20 მაისი

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

2026 წლის 17 აპრილს, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) შევიდა განცხადება, რომელშიც ასახული იყო ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ა(ა)იპ - თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირის (შემდგომში - გერმანული სკოლა/სკოლა/დაწესებულება) მოსწავლის უფლებების შესაძლო დარღვევის შესახებ. განცხადება წარმოდგენილი იყო ამავე სკოლის პირველი კლასის მოსწავლის მშობლის მინდობილი პირის ხელმოწერით, რომელსაც თან ერთვოდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი - მიდნობილობა.

განცხადებაში საუბარია, რომ განმცხადებელი გერმანული სკოლის არასრულწლოვანი მოსწავლის მშობლის სახელით, ცენტრს მიმართავდა მარწმუნებლის შვილის მიმართ განხორციელებული სისტემური ძალადობისა და სასწავლო დაწესებულების მხრიდან არასათანადო რეაგირების საკითხთან დაკავშირებით.

განცხადების თანახმად, მარწმუნებლის შვილი 2025 წლის სექტემბრიდან სწავლობდა გერმანული სკოლის პირველ კლასში, რომელიც მდებარეობს თბილისში, კერძოდ, ბაგებში. განცხადების თანახმად, სწავლის დაწყებიდან მოკლე პერიოდში მარწმუნებლის შვილი გახდა თანაკლასელთა მხრიდან სისტემური ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის (ბულინგის) მსხვერპლი, რაც გამოიხატებოდა:
• შეურაცხმყოფელ სიტყვიერ მიმართვებსა და საჯარო დამცირებაში;
• ფიზიკურ ძალადობაში;
• პირადი ნივთების დაზიანებაში;
• სოციალურ გარიყვასა და ჯგუფურ იზოლაციაში;
• განმეორებით და მიზანმიმართულ აგრესიულ ქცევებში.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ ჩამოთვლილ ფაქტებს აქვს ხანგრძლივი, სისტემური და გამწვავების ტენდენცია, შესაბამისად, მარწმუნებელს მიაჩნია, რომ სახეზეა არა ერთჯერადი კონფლიქტი, არამედ - განვითარებული ბულინგი. გარდა ამისა, განცხადებაში საუბარია, რომ ბავშვის მიმართ განხორციელდა სექსუალური შევიწროვებაც თანაკლასელების მხრიდან, კერძოდ კი, იმას, რომ ადგილი

ჰქონდა კონფლიქტში მონაწილე ორი მოსწავლის მხრიდან შარვლის ჩაწევის იძულების, გენიტალიების ჩვენების და შეხების ფაქტების შესახებ ინფორმაციას).

განცხადებაში აღნიშნულია, რომ სკოლის მხრიდან მხარდაჭერის ნაცვლად, მშობლებმა მიიღეს სკოლის გულრგილობა. ზემოთ აღნიშნული საკითხის შესახებ მიუხედავად სკოლის არაერთგზის ინფორმირებისა, სკოლის მხრიდან განხორციელებული რეაგირება შემოიფარგლა სიტყვიერი შენიშვნებით, ფორმალური წერილებით, დროებითი და არაეფექტური ზომებით. მშობლებმა მიმართეს დამოუკიდებელ ფსიქოლოგსაც, რომელმაც მისცა შესაბამისი რეკომენდაციები, თუმცა სკოლა არ იზიარებს აღნიშნულს.

განცხადებაში საუბარია, რომ სკოლამ ვერ უზრუნველყო მოსწავლისთვის უსაფრთხო გარემო, ბულინგის სათანადო შეფასება და კლასიფიკაცია, ეფექტური პრევენციული და რეაგირების მექანიზმების გამოყენება და ბულინგის საწინააღმდეგო პოლიტიკის პრაქტიკაში განხორციელება. განსაკუთრებით შემაშფოთებლად მიაჩნია ის, რომ სკოლა აღნიშნულ შემთხვევას არ აღიარებს როგორც მძიმე ბულინგის ფაქტს და იყენებს ისეთ მიდგომებს, რომლებიც არ შეესაბამება არსებული მდგომარეობის სიმძიმეს.

მშობლები თვლიან, რომ ყოველივე ზემოთ აღნიშნულის შედეგად, ბავშვი იმყოფება ემოციურად მძიმე მდგომარეობაში, თავს არ გრძნობს დაცულად სასწავლო გარემოში და მშობლების გადაწყვეტილებით არ დადის სკოლაში არსებული პირობების გამო, რითაც ირღვევა როგორც მისი განათლების უფლება, ასევე, მოსწავლის ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური უსაფრთხოების სტანდარტები.

განმცხადებელი ცენტრს მიმართავს მოხდეს განცხადებაში დაფიქსირებული ფაქტების სრულყოფილად შესწავლა, სასწავლო დაწესებულების ქმედებების და პასუხისმგებლობის შეფასება და შესაბამისი სამართლებრივი და ადმინისტრაციული რეაგირების განხორციელება.

განცხადებაში საუბარია, რომ მოსწავლე არის გერმანულენოვანი და საქართველოს ბაზარზე არ არის ალტერნატიული სკოლა, რომელიც უზრუნველყოფს სწავლებას გერმანულ ენაზე და გერმანული პროგრამით. განმცხადებლის მიზანი კი არის, რომ ბავშვმა მიიღოს სრულყოფილი განათლება ჯანსაღ გარემოში. ამავე დროს, შექმნილი ვითარების გამო, ოჯახი იძულებულია დავტოვოს ქვეყანა, თუმცა მათი მოთხოვნაა, რომ სასწავლო წლის ბოლომდე სკოლის მხრიდან უზრუნველყოფილი იქნას ისეთი გარემო, რომ ბავშვმა შეძლოს კლასის დასრულება.

2026 წლის 30 აპრილს განმცხადებლის მიერ დამატებით იქნა წარმოდგენილი სკოლასთან წერილობითი კომუნიკაციის ამსახველი მასალების ქართულენოვანი თარგმანი, რომელშიც დეტალურად არის აღწერილი სკოლის წარმომადგენლებთან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით განხორციელებული კომუნიკაციის შინაარსი. პირველი წერილობითი მიმართვა, რომელიც თან ერთვის განცხადებას, თარიღდება 2026 წლის 27 თებერვლით. მიმოწერის შინაარსით დგინდება, რომ ელექტრონულ ფოსტაზე მშობლის მხრიდან განხორციელდა ფაქტების შესახებ დეტალური ინფორმაციის სკოლისთვის მიწოდება ქრონოლოგიურად.

- *2026 წლის 27 თებერვლის წერილით, მშობელმა სკოლას აცნობა მისი შვილის მიმართ სასწავლო წლის დაწყებიდან დროის გარკვეულ პერიოდში განხორციელებულ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ აგრესიაზე 3 თანაკლასელის მხრიდან. მათგან ორი თანაკლასელის მხრიდან საუბარია უფრო ინტენსიურ აგრესიაზე, ხოლო მესამე მოსწავლე ნახსენებია თებერვლის ეპიზოდში. მშობლის ინფორმაციით მდგომარეობა შედარებით გამწვავდა თებერვალში და ბავშვი ითხოვს დახმარებას.*
- *ამავე წერილში, მშობელი წერს, რომ პრობლემის გადაჭრის მცდელობებს ადგილი ჰქონდა კლასის დამრიგებლის და სხვა პედაგოგების მხრიდან, თუმცა მიღებულ ზომებს არ მიიჩნევს საკმარისად და შედეგიანად.*
- *მოსწავლეებს შორის პირველ კონფლიქტს მშობელი აფიქსირებს სასწავლო წლის დასაწყისში, როდესაც მოსწავლემ ვერ დაიჭირა ბურთი და კონფლიქტში მონაწილე თანაკლასელმა მას უწოდა ,,სულელი". მშობელი წერს, რომ აღნიშნულის შესახებ დამრიგებელი იყო ინფორმირებული.*
- *ასევე, საუბარია რუსულ ენაზე განხორციელებულ შეურაცხმყოფელ მიმართვაზე, რის შესახებაც მშობელმა აცნობა გახანგრძლივებული სწავლების პედაგოგს, რომელმაც უთხრა, რომ რუსული არ ესმის და შესაბამისად, მსგავს გამონათქვამებს ვერ ამჩნევს.*

წერილში საუბარია კვების ეპიზოდში არსებულ კონფლიქტზეც, თუმცა ამბობს, რომ მასწავლებლის ჩარევის შედეგად პრობლემა მოგვარდა.

2026 წლის 27 თებერვლის წერილში საუბარია ნოემბრის, დეკემბრის და თებერვლის თვეებში მისი შვილის მიმართ განხორციელებულ რამდენიმე ფაქტზე, როგორიცაა:

- *ხელების დაბანის დროს თავზე ,,ჭუჭყის'' (მიწის) დაყრა, მოგვიანებით კი სასადილოში თავში ჩარტყმა და ,,ბინძურის'' დაძახება (ნოემბრის თვეში).*
- *კლასის წინაშე შარვლის ჩახდის მცდელობა, რომელიც სწორედ დამრიგებლის მხრიდან შეიტყო მშობელმა. მშობლის მიერ დაფიქსირებული ინფორმაციითვე, ამ ფაქტთან დაკავშირებით, დამრიგებელი ესაუბრა ბავშვებს და მათ მშობლებს, ასევე მოამზადა ზოგადი წერილიც. მშობელი ვარაუდობს, რომ შარვლის ჩახდის მცდელობას შესაძლოა ადგილი ბევრჯერ ჰქონდა (ნოემბრის თვეში).*

- *ფლომასტერის დაზიანება, რის შესახებაც მშობელმა აცნობა ქართულის მასწავლებელს. მშობელი წერს, რომ მასწავლებელი შემოიფარგლა მხოლოდ სიტყვიერი შენიშვნით და არ მიიჩნევს საკმარის ზომად. ასევე აფიქსირებს, რომ არ მომხდარა ზიანის ანაზღაურება (დეკემბრის თვეში).*
- *ქუდის წართმევა და უნიტაზში ჩაგდება. მშობელი ამბობს, რომ აღნიშნული მოხდა დერეფანში, ზრდასრულის ზედამხედველობის გარეშე, სხვა თანაკლასელის თანდასწრებით, რომელმაც შეატყობინა მასწავლებელს (გახანგრძლივებულის მასწავლებელი). მშობელი აქაც საუბრობს ზიანის ანაზღაურების არარსებობაზე და შესაბამისი ზომების არ მიღებაზე (თებერვლის თვეში).*
- *მოსწავლის საკარნავალო ქუდის დაზიანების და უნიტაზში ჩაგდების ფაქტი განმეორებით. მშობელი აფიქსიებს, რომ აღნიშნულის შესახებ თავად დამრიგებელმა აცნობა მშობელს და ასევე ეცნობა გატარებული ზომების შესახებ, კერძოდ, მოსწავლეს მიეცა ,,წითელი ბარათი'' და აეკრძალა კონფლიქტში მყოფ მეორე მოსწავლესთან და მის შვილთან ერთად თამაში. აქვე აფიქსირებს, რომ ბავშვის მონათხრობით, მეორე დღეს კვლავ თავისუფლად თამაშობდნენ კონფლიქტის მონაწილე ბავშვები. (თებერვლის თვეში).*
- *წერილში ასევე ფიქსირდება ფიზიკური ძალადობის ფაქტი კონფლიქტში მონაწილე იმ ორ მოსწავლეს შორისაც, რომლებიც მის შვილზე ძალადობენ და რის შესახებაც მას ერთ-ერთი მათგანის მშობლისგან შეიტყო პირად საუბარში.*
- *მშობელი ასევე აფიქსირებს, რომ დამრიგებელთან ერთად შეესწრო ფაქტს, როდესაც მისი შვილი კონფლიქტში მონაწილე თანაკლასელმა წააქცია, ზემოდან დააჯდა და სახე იატაკზე დაადებინა. ბავშვმა ინციდენტის შემდეგ იტირა, ასევე, სახლში შეამჩნია, რომ მუხლის უკანა მხარეს ფეხებზე აღენიშნებოდა ნაკაწრები და რამდენიმე დღის განმავლობაში უჩიოდა ტკივილს. აღსანიშნავია, რომ ამ ფაქტის შემდეგ, იმავე დღეს, დროის მოკლე მონაკვეთში, მისი შვილი თავადვე მივიდა სათამაშოდ ისევ იგივე მოსწავლესთან, რომელმაც წააქცია და ხელი ჰკრა, კონფლიქტის მონაწილე კიდევ ერთი მოსწავლე კი მის შვილთან მივიდა და ყელში ხელი მოუჭირა. მშობელი ამბობს, რომ ეს მოხდა გახანგრძლივებულის პედაგოგის თანდასწრებით. გარდა ამისა, ამბობს, რომ ბავშვი დასახმარებლად უფროსებს აღარ მიმართავს.*
- *მშობელი აფიქსირებს, რომ ბოლო პერიოდში ორ მოსწავლეს შეუერთდა მესამე მოსწავლეც, რომელმაც მტკივნეულად დაარტყა და ეუბნებოდა მოშორებოდა. მშობლის ინფორმაციით, ეს მოხდა რამდენიმეჯერ. ბავშვმა თქვა, რომ აღნიშნულის შესახებ აცნობა პედაგოგს, თუმცა პედაგოგმა უთხრა, რომ ეს არ დაუნახავს და არანაირი ზომები არ გატარებულა.*

მშობელი თვლის, რომ ადგილი აქვს ჯგუფიდან გამორიცხვას და ჩაგვრის სისტემატიურ ხასიათს. ის თვლის, რომ სკოლის მიერ მიღებული ზომები (სიტყვიერი გაფრთხილებები, მშობლებთან წერილობითი კომუნიკაცია, ,,წითელი ბარათი'', დროებითი სივრცობრივი განცალკევება) არ არის საკმარისი. ასევე, სკოლის მიერ შეთავაზებული ზედამხედველობითი ერთობლივი თამაშები, არ იქნება ეფექტური, ვინაიდან თვლის, რომ სახეზეა არა ინდივიდუალური კონფლიქტი, არამედ ჯგუფური დინამიკა და სკოლა ამას აღიქვამს არა როგორც მძიმე ბულინგს, არამედ როგორც კონფლიქტს.

მშობელი აფიქსირებს, რომ დეკემბერში კონსულტაცია გაიარეს სკოლის ფსიქოლოგთან, რომელმაც ურჩია მშობლებს, რომ მოეძებნათ ფსიქოლოგი სკოლის გარეთ ბავშვთან სამუშაოდ და მის გასაძლეირებლად. ასევე, აქტივობის სახით შესთავაზა ბავშვის ემოციებზე საუბარი

ბარათების გამოყენებით. მშობელი აცხადებს, რომ იპოვა ფსიქოლოგი, რომელმაც არსებული სიტუაცია შეაფასა როგორც ბულინგი. მშობელმა სკოლას მოგვიანებით, 2026 წლის 01 მარტს წარუდგინა ბავშვთა კერძო ფსიქოლოგის დასკვნა. ასევე, მშობელმა გამოთქვა მზადყოფნა, სურვილის შემთხვევაში, პირადად ან ტელეფონით მოხდეს აზრების გაცვლა.

როგორც მშობლის წერილობითი კომუნიკაციით იკვეთება, მშობელი ინფორმირებულია სკოლის მიერ შემუშავებული მოსწავლის დაცვის კონცეფციის და ბულინგის პრევენციის წესების შესახებ. მშობელი რეაგირებას ითხოვდა სწორედ ამ კონცეფციის ეტაპების მიხედვით, ბულინგის რთული შემთხვევისთვის გათვალისწინებული წესით. ასევე, შობელი ითხოვდა სკოლის მხრიდან განსახორციელებელი ქმედებების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას და პრობლემის მოგვარების დროში გაწერილ გეგმას. იმ შემთხვევისთვის თუ სკოლას არ ჰყავდა ბულინგთან ბრძოლისთვის შესაბამისი გამოცდილების პედაგოგიური პერსონალი, მშობელი გამოთქვამდა მზადყოფნას სკოლისთვის, თავის მხრივ, შეეთავაზებინა შესაბამისი გარე სპეციალისტების დახმარება.

გარდა ამისა, მშობლის მოთხოვნა იყო მოსწავლის სასწავლო პროცესიდან გათავისუფლება, ვიდრე ქმედითი გეგმა არ იქნებოდა შეთავაზებული სკოლის მხრიდან.

2026 წლის 16 მარტს, მშობელმა კიდევ ერთი წერილით მიმართა სკოლის ადმინისტრაციას და აცნობა, რომ თავისი შვილისგან შეიტყო მის მიმართ განხორციელებული სექსუალური ძალადობის შესახებ, რაც გამოიხატებოდა კონფლიქტის მონაწილე თანაკლასელების მხრიდან შარვლის ჩაწევის მოთხოვნაში (რამდენიმეჯერ), გენიეტალიების ჩვენებაში (რაც ორჯერ გააკეთა) და ხელით შეხებაში. ასევე, აღნიშნულის განხორციელების დროს მის დაცინვასა და კედელზე თავის მირტყმაში. მშობელი წერს, რომ აღნიშნულის შესახებ შვილისგან შეიტყო 2026 წლის 04 მარტს, რაზეც იქამდე არ უსაუბრია და მისი თქმით, ეს ეხება თებერვლის არდადეგებამდე პერიოდს.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
300	**230**

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტთან დაკავშირებით, რომელშიც დაფიქსირებულია, რომ სკოლა სრულიად იზიარებს ექსპერტთა მიერ განხორციელებულ შეფასებას და ეთანხმება დასკვნაში აღწერილი ფაქტობრივი გარემოებების შინაარსს.

დაწესებულებამ დააფიქსირა, რომ დასკვნის პროექტში ასახული, სკოლის ადმინისტრაციასა და მშობელს შორის შიდა გამოცდების ჩატარებასთან დაკავშირებით კომუნიკაცია, რომელზეც მშობელმა ვიზიტის ფარგლებში ექსპერტებთან ისაუბრა, არ განხორციელებულა. ამასთანავე, დაწესებულების მარეგულირებელი აქტები შიდა გამოცდების ჩატარებას არ ითვალისწინებს. შესაბამისად, დაწესებულებამ განმარტა, რომ მოცემულ კონტექსტში სავარაუდოდ მშობელი გულისხმობდა ექსტერნატის ფორმით გამოცდებს.

არგუმენტირებულ პოზიციაში დაწესებულებამ ასევე დააფიქსირა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის შემდეგ დამდგარი ფაქტობრივი გარემოება, კერძოდ: მშობელმა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის შემდგომ განახორციელა თავისი შვილის ექსტერნის გამოცდებზე რეგისტრაცია და არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის პერიოდისთვის საგამოცდო პროცესი მიმდინარეობდა კანონმდებლობით დადგენილ ვადებში.

ექსპერტებმა გაიზიარეს დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია.

ვიზიტის აღწერა

განცხადებაში დაფიქსირებული ინფორმაციისა და ვიზიტის ბრძანებიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა ერთდღიანი ვიზიტი.

ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა მონიტორინგის საფუძვლებში დაფიქსირებული გარემოებები და დაწესებულების საქმიანობის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, კერძოდ:

- *შემოწმდა მოსწავლეთა უფლებების და კანონიერი ინტერესების რეგულაციების არსებობა სკოლაში და მარეგულირებელ დოკუმენტებში ასახული პროცესების შესრულება განცხადებაში დაფიქსირებული ფაქტების ირგვლივ;*
- *შემოწმდა სკოლის მიერ გატარებული პრევენციული და ინტერვენციული ღონისძიებები ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად.*

ვიზიტის დროს, გამოთხოვილ და შესწავლილ იქნა სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტაცია, გატარებული ზომების შესახებ წერილობითი მტკიცებულებები და შემოწმდა მონიტორინგის ბრძანებაში ასახული საფუძვლების ირგვლივ არსებული საკითხები.

ინტერვიუ განხორციელდა სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან, კერძოდ, დირექტორთან, დირექტორის მოადგილესთან (რომელიც ამავდროულად პირველი კლასის თანადამრიგებელია), ფსიქოლოგთან, პირველი კლასის დამრიგებელთან და ამავე კლასის მოსწავლეთა მშობლებთან. იმისათვის, რომ ინფორმაციის კონფიდენციალურობა არ დარღვეულიყო, დამატებით, ინდივიდუალური ინტერვიუ განხორციელდა კონფლიქტის მონაწილე ბავშვების მშობლებთანაც.

განცხადებაში დაფიქსირებული ინფორმაციის ირგვლივ საკითხების შესასწალად, ექსპრეტთა ჯგუფი სატელეფონო ზარით დაუკავშირდა განცხადების ავტორს, რომელმაც განაცხადა, რომ ვერ ჩაერთვებოდა გასაუბრების პრიცესში, ვინაიდან თავად არ ფლობდა ინფორმაციას დეტალებთან დაკავშირებით. ის თავის მარწმუნებელს დაეხმარა ქართულენოვანი განცხადების შედგენაში, ვინაიდან მარწმუნებელი არ ფლობდა ქართლ ენას. აღნიშნულის შემდგომ, სკოლის წარმომადგენლების დახმარებით მოხდა უშუალოდ მშობელთან დაკავშირება, რომელიც გამოცხადდა სკოლაში და ადგილზე განხორციელდა ექსპერტთა ჯგუფთან გასაუბრება.

ექსპერტთა მიერ დაისვა დამაზუსტებელი შეკითხვები განცხადებაში მითითებული ფაქტების და სასკოლო ინტერვიუს დროს მოწოდებული ინფორმაციის ირგვლივ. იმის გათვალისწინებით, რომ მოსწავლეთ მშობლები ფლობდნენ სხვადასხვა ენას, გასაუბრება შედგა ქართულ, ინგლისურ, რუსულ და გერმანულ ენებზე. გერმანულ ენაზე გასაუბრების თარგმანში ექსპერტებს დახმარებას უწევდა სკოლის წარმომადგენელი.

სკოლამ, თავის მხრივ, წარმოადგინა მშობელთან ელექტრონული ფოსტით განხოროციელებული კომუნიკაციის ამსახველი მიმოწერა. ასევე, სკოლის სხვა წარმომდგენლებთან, მასწავლებლებთან და მშობლებთან სკოლის ფსიქოლოგის მხრიდან განხორციელებული წერილობითი კომუნიკაციის ამსახველი მიმოწერა.

დასკვნის სახით წარმოდგენილია ექსპერტთა მხრიდან ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების შედეგები, განხორციელებული ინტერვიუების და სკოლის მიერ გატარებული ზომების ანალიზი, სკოლის მიერ განხორციელებული რეაგირების დამადასტურებელი მტკიცებულებების და სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტაციის ურთიერთშეჯერების შედეგად გამოკვეთილი გარემოებები.

<u>კლასის დამრიგებელთან განხორციელებული ინტერვიუს ანალიზი:</u>

დამრიგებლის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, მოსწავლეებს შორის რამდენიმეჯერ ჰქონდა ადგილი კონფლიქტს, მათ შორის ფიზიკურ დაპირისპირებას და პირადი ნივთების დაზიანებას, რასაც მისი მხრიდან მოჰყვა ადეკვატური რეაგირება და განხორციელდა პრევენციული ღონისძიებები. კერძოდ:

- სასწავლო წლის დაწყებიდან მალევე, დამრიგებელმა სკოლის ფსიქოლოგს სთოხვა დასწრებოდა გაკვეთილებს და დაკვირვებოდა მოსწავლეების ქცევას. მოგვიანებით კი დამრიგებლის მხრიდან მოხდა მოსწავლეების მშობლების და კლასის მასწავლებლების ინფორმირება კონფლიქტის არსებობის შესახებ.
- გარდა ამისა, მასწავლებლებს ეთხოვათ განსაკუთრებული ყურადღება გამოეჩინათ კონფლიქტში მყოფი მოსწავლეების ქცევის მიმართ და ეზრუნათ მათ შორის დისტანციის დაცვაზე.
- გარკვეული პერიოდულობით, კლასში ხორციელდებოდა მოსწავლეების ადგილების შეცვლა, რომელიც თანაბრად ეხებოდა კლასის ყველა მოსწავლეს.
- ვინაიდან მომჩივანის შვილი დიდ ინტერესს იჩენდა ორ მოსწავლესთან თამაშისა და მეგობრობის კუთხით, ხოლო მათგან აღნიშნულზე უარს იღებდა, დამრიგებელი დაუკავშირდა მშობელს და სთხოვა თავის მხრივაც დახმარებოდნენ ბავშვს ფსიქო-ემოციური კუთხით.
- დამრიგებელმა გამოიკითხა კლასის სხვა მოსწავლეებიც, რაც მიზანად ისახავდა კონფლიქტის სწრაფ პრევენციას და რეალური სურათის აღქმას. მოსწავლეების განმარტებით, მართლაც ჰქონდა ადგილი ორ-სამ მოსწავლეს შორის უთანხმოებას, თუმცა გამოვლენილი აგრესია იყო ორმხრივი და ერთმანეთის ქცევის საპასუხო. დამრიგებლის განმარტებით, კონფლიქტის მონაწილე ბავშვი აღიქმებოდა „განსხვავებულად“ თანაკლასელების მხრიდან, რადგან ხშირად უმიზეზოდ ყვიროდა, მოულოდნელად გამოსცემდა ხმოვან ბგერებს და უცნაურ (ბოროტ) ნახატებს ხატავდა.

აღნიშნულის გათვალისწინებით დამრიგებლის მიერ დამატებით გატრადა შემდეგი ღონისძიებები:

- დასვენების პერიოდში და ეზოში თამაშისას განსაკუთრებული მეთვალყურეობა ხორციელდებოდა კონფლიქტში მყოფ მოსწავლეებზე.
- სადამრიგებლო საათის ფარგლებში ჩატარდა აქტიური აღმზრდელობითი სამუშაოები, რომელიც მოსწავლეებს შორის თანამშრომლობის, ურთიერთპატივისცემისა და გუნდურობის გაძლიერებას უწყობდა ხელს. კლასს სთავაზობდა ეთიკის გაკვეთილებს, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება მოსწავლის სოციალური უნარების განვითარება და ქცევის წესებზე შეთანხმება.
- პრობლემური საკითხის ირგვლივ, დამრიგებლის მხრიდან აქტიურად ხორციელდებოდა კომუნიკაცია სკოლის ადმინისტრაციასთან, ფსიქოლოგთან და მშობლებთან.

სექსუალური ხასიათის ძალადობასთან დაკავშირებით დამრიგებელმა განაცხადა, რომ მსგავსი ფაქტის არსებობის შესახებ ეჭვი არასოდეს გაჩენილა, უფრო მეტიც, მოსწავლეების დაპირისპირების პირველივე შემთხვევის დაფიქსირებიდან მალევე, ისინი განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ იყვნენ. მოსწავლეებთან ყოველთვის იყვნენ დამრიგებელი ან გახანგრძლივებულის მასწავლებლები.

დამრიგებლის ინტერვიუს დროს მოწოდებული ინფორმაცია დასტურდება ელექტრონულ ფოსტაზე განხორციელებული მიმოწერებით, დამრიგებლის და ფსიქოლოგის ანგარიშებით, მშობლებთან გსაუბრებით.

<u>**სკოლის ფსიქოლოგთან განხორციელებული ინტერვიუს ანალიზი:**</u>

სკოლის ფსიქოლოგთან ინტერვიუს დრო გამოიკვეთა, რომ აღნიშნულ კლასში აქტიურად ხორციელდებოდა დასწრება და დაკვირვება საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეების დამოკიდებულებებისა და ფსიქო-ემოციური მდგომარეობის შეფასების მიზნით.

კლასზე დაკვირვების თაობაზე პირველი მიმართვა, დამრიგებლის მხრიდან დაფიქსირდა 2025 წლის სექტემბრის თვეში, რის შემდეგაც ფსიქოლოგი დაესწრო გაკვეთილებს გარკვეული პერიოდულობით და წარადგინა ანგარიში. მშობლის მიმართვის საფუძველზე ფსიქოლოგის აქტიური ჩართულობა ფიქსირდება დეკემბრის თვიდანაც. ფსიქოლოგის დაკვირვების შედეგად გამოიკვეთა ბავშვის სპეციფიკური ფსიქო-ემოციური, ვერბალური და ფიზიკური ხასიათი, რომელიც დეტალურად იქნა განხილული მშობელთან და პრევენციის მიზნით შეთავაზებულ იქნა კვირაში ერთხელ „ფსიქოლოგის საათი“, რომელიც მიმართული იქნებიდა კონფლიტის აღმოფხვრის, მოსწავლი ფსიქო-ემოციური მხარდაჭერის/განვითარებისა და კლასში მისი ინტეგრირების მიზნით. მშობელს ასევე შესთავაზა კონფლიქტში მონაწილე ბავშვებთან სკოლის გარეთ აქტივობების განხორციელება ოჯახის წევრების გარემოში.

ფსიქოლოგმა დეტალურად განმარტა სკოლის მიერ შემუშავებული ბულინგის საწინააღმდეგო ჩარჩო-დადგენილების შინაარსი, რომლის შემუშავებაც პირადად მისი ჩართულობით განხორციელდა. განმარტა აღნიშნული დოკუმენტით კონფლიქტის პრევენციისა და ინტერვენციის ფაზები. ბულინგის კვალიფიკაცია და ბულინგის გამძაფრებული ფაზის მართვის კონცეფცია.
ინტერვიუს დროს ფსიქოლოგმა მოსწავლეებს შორის არსებული მდგომარეობა მეტწილად შეაფასა როგორც კონფლიქტი და არა ბულინგი. ფსიქოლოგის შეფასება ეყრდნობა იმას, რომ ბავშვების ასაკი არის 6-7 წელი, მათი ქმედება არ არის მიზანმიმართული ჩაგვრა, არამედ დაფიქსირდა, რომ ხშირ შემთხვევაში ბავშვების ქმედება იყო საპასუხო რეაქცია ერთმანთის მიმართ მაპროვოცირებელ ქცევაზე. სწორედ ამიტომ, ბულინგის საწინააღმდეგო ჩარჩო-დადგენილების შესაბამისად:

- ფსიქოლოგმა მშობლებს შესთავაზა ე.წ. ,,No Blame Approach'' მეთოდის (ბრალდებისა და დასჯის ნაცვლად მხარდამჭერი აქტივობების განხორციელება კონფლიქტის მონაწილე და კლასის სხვა მოსწავლეთა ჩართულობით) გამოყენება, რომელიც ბულინგის საწყის ფაზაშია გათვალისწინებული.
- ფსიქოლოგის მიერ ასევე შეთავაზებულ იქნა მოსწავლეების ერთობლივი თამაშები გარკვეული დროით, რომელსაც ზედამხედველობას გაუწევდნენ პრობლემის მოგვარებაში ჩართული სკოლის წარმომადგენლები. ფსიქოლოგის თქმით, მშობლები თავდაპირველად, თებერვლის თვეში გამართულ შეხვედრაზე თანახმანი იყვნენ, მოგვიანებით კი კატეგორიული უარი განაცხადეს მის განხორციელებაში მონაწილეობაზე, ვინაიდან თვლიდნენ, რომ საქმე ეხებოდა ბულინგის არა საწყის ფაზას, არამედ განვითარებული ბულინგის რთულ გამოვლენას. მშობლები ეყრდნობოდნენ კერძო ფსიქოლოგის მიერ შედგენილ დასკვნას, რომლის რეკომენდაციაც იყო მოსწავლის სასწავლო პროცესიდან ჩამოშორება რამდენიმე თვის განმავლობაში.

როგორც განხორციელებული ინტერვიუების და წერილობითი კომუნიკაციის შინაარსის შესწავლით დადგინდა, სკოლის ფსიქოლოგმა დაამყარა კომუნიკაცია მშობლების მიერ შერჩეულ კერძო ფსიქოლოგთან, რითაც მიზნად ისახავდა, ერთობლივი ძალისხმევით, მოსწავლის სასწავლო პროცესში რეინტეგრაციის გეგმის შემუშავებას, თუმცა სასწავლო პროცესში მოკლე დროში მოსწავლის დაბრუნების გეგმას არ ეთანხმებოდა კერძო ფსიქოლოგი, რომელსაც მშობლები ნდობას უცხადებდნენ.

აღსანიშნავია, რომ მშობლის მიერ წარმოდგენილი დასკვნა შედგენილია ისრაელში მყოფი რუსულენოვანი (ვინაიდან ბავშვის სასაუბრო ენაა მხოლოდ გერმნაული და რუსული) ფსიქოლოგის მიერ დისტანციური საკონსულტაციო შეფასების შედეგად. იმის გამო, რომ დასკვნაში ასახულ რეკომენდაციას არ იზიარებდა ადმინისტარცია, მათ შორის, სკოლის ფსიქოლოგიც, მშობელს ეთხოვა წარმოედგინა ფსიქოლოგის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი. ფსიქოლოგის მიერ გაცემული დოკუმენტი არ იძლეოდა ავთენტურობის დადგენის საშუალებას, რადგან მასზე მოცემული იყო მხოლოდ ავტორის ხელმოწერა, არ იყო შესრულებული რაიმე ოფიციალურ ბლანკზე და არ იყო წარმოდგენილი კვალიფიკაციის დამდგენი რაიმე დოკუმენტი.

სექსუალური ძალადობის ეპიზოდთან დაკავშირებით, სკოლის ფსიქოლოგს არ ჰქონდა ინფორმაცია 2026 წლის 16 მარტამდე, ვიდრე მშობელმა არ განაცხადა აღნიშნულის შესახებ.

ფსიქოლოგმა დეტალურად ისაუბრა ბულინგის პრევენციის პროგრამაზე და განმარტა რა შემთხვევაში და რომელი ეტაპები გამოიყენება. მოსწავლე სასწავლო პროცესს არ დასწრებია მარტის თვიდან, შედეგად, სკოლამ ვერ შეძლო ე.წ. „No Blame Approach" მეთოდის და მოსწავლის სასწავლო პროცესში რეინტეგრაციის გეგმის შესრულება.

აღნიშნული დასტურდება როგორც სკოლის ფსიქოლოგის ანგარიშით, ასევე მშობლებს, ფსიქოლოგებსა და სკოლას შორის არსებული მიმოწერით, სკოლის ფსიქოლოგის სამოქმედო გეგმით, ინტერვენციის გეგმით, კერძო ფსიქოლოგის დასკვნით.

<u>მომჩივან მშობელთან განხორციელებული ინტერვიუს ანალიზი (მამა):</u>

მშობლის მიერ ხაზი გაესვა იმას, რომ უნდა მომხდარიყო მისი შვილის მიმართ ბულინგის მონაწილე ბავშვების სასწავლო პროცესიდან ჩამოშორება, რადგან მისი შეფასებით, ადგილი ჰქონდა ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის რამდენიმე ფაქტს, რასაც ბავშვის ფსიქო- ემოციური და ფიზიკური დაზიანება მოჰყვა.

მშობელის განმარტებით, სკოლას უნდა ემოქმედა ბულინგის საწინააღმდეგო ჩარჩო-დადგენილებით და გამოეყენებინა მოსწავლის გარიცხვა ან სასწავლო პროცესიდან ჩამოშორება. როგორც მშობელმა ინტერვიუს დროს განაცხადა, ის გამოსავალს ხედავდა იმაში, რომ 2-2 კვირიანი მონაცვლეობით მომხდარიყო მოსწავლეების სასწავლო პროცესზე დასწრება და ამბობდა, რომ ეს სწორედ ჩარჩო-დებულებით იყო გათვალისწინებული (სკოლისგან მოითხოვდა დოკუემნტის 5.2.3 პუნქტის ამოქმედების საჭიროებას). მშობელი სკოლას ადანაშაულებდა იმაში, რომ არ სურდა ბულინგის პრევენციის პროგრამის იმ ნაწილის ამოქმედებას, რომელიც ითვალისწინებდა გამწვავებული ბულინგის რთულ შემთხვევაზე რეაგირებას.

თუმცა, აღნიშნული დოკუმენტის შესწავლით დადგინდა, რომ ასეთი გადაწყვეტილება დოკუმენტით არ არის გათვალისწინებული, პირიქით, აქტივობების ნებისმიერი ეტაპი ითვალისწინებს მოსწავლეთა ერთობლივ ჩართულობას კონფლიქტების გადაწყვეტის და ბულინგის აღკვეთის პროცესში.

მშობელი სხვა გამოსავალს არ განიხილავდა და აღნიშნავდა, რომ კერძო ფსიქოლოგთან კონსულტაციის შემდეგ, ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე, უარს აცხადებს ბავშის სკოლაში გამოცხადებასა და სასწავლო პროცესში მონაწილეობაზე. იმისათვის, რომ ბავშვს შესაძლებლობა ჰქონოდა გაეგრძელებინა სწავლა უცხოეთში იმ სკოლაში, რომელშიც გადაიყვანდა, მშობლის მოთხოვნა სკოლის მიმართ იყო პირველი კლასის გავლის დამადასტურებელი მოწმობის გაცემა სკოლის მხრიდან. აღნიშნული ინფორმაცია ექსპერტებს მიაწოდა სკოლის ადმინისტრაციამ, რაც ინტერვიუს დროს თავად მშობელმაც დაადასტურა.

ვინაიდან მშობელი კატეგორიულად არ განიხილავდა ბავშვის სკოლაში დაბრუნებას, ექსპერტებმა მშობელს დაუსვეს კითხვა თუ რაში ხედავდა არსებული მდგომარეობიდან გამოსავალს თავად მშობელი, ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე. აღნიშნულ საკითხზე მშობელმა დაასახელა რამდენიმე გზა:

- ***სკოლას გაეცა პირველი კლასის დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტი*** *- აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე სკოლა კატეგორიულ უარს აცხადებდა. გამომდინარე იქედან, რომ მოსწავლე არ დადიოდა სკოლაში, სკოლის ადმინისტრაცია თვლიდა, რომ მისი შეფასება იქნებოდა როგორც გერმანული ასევე, ქართული განათლების სისტემის კანონის უხეში დარღვევა და ეწინააღმდეგებოდა გერმანული საერთაშორისო სკოლის სასწავლო პრინციპებს.*
- ***სკოლის მხრიდან შედგენილიყო ინდივიდუალური გრაფიკი, გაკვეთილების შემდეგ დაებარებინა სკოლაში მისი შვილი და ამ გზით მომხდარიყო მოსწავლის მიერ სასწავლო პროგრამის ათვისების შეფასება*** *- სკოლამ აღნიშნულ საკითხზე განაცხადა, რომ ინდივიდუალური და ალტერნატიული სასწავლო სასწავლო პროცესის ორგანიზება ვერ მოხერხდებოდა, ხოლო მოსწავლის შინ სწავლებაზე გადასაყვანად არ იყო წარმოდგენილი შინ სწავლების საფუძველი - სამედიცინო დასკვნა.*
- ***სკოლას ჩაეტარებინა შიდა გამოცდები და ამ გზით შეეფასებინა მოსწავლის მიღწევები*** *- სკოლამ აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილებაზეც უარი განაცხადა, ვინაიდან შეფასების ასეთი სისტემა სკოლაში არ არსებობდა და მშობლის მოთხოვნა ეწინააღმდეგებოდა მოსწავლის შეფასების არსებულ წესებს. მშობელმა ექსპერტებს განუცხადა, რომ სკოლა ვალდებული იყო შიდა გამოცდების გზით უზრუნველეყო მოსწავლის შეფასება და აღნიშნულის შესახებ მას ინფორმაცია სატელეფონო კომუნიკაციის დროს მიაწოდა სოციალურმა მუშაკმა, რომელიც აწარმოებდა მოსწავლესთან დაკავშირებულ საკითხზე მოკვლევას (სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურის სამსახურის სოციალური მუშაკი). ინფორმაციის დაზუსტების მიზნით, მშობლის თანდასწრებით, ექსპერტები სატელეფონო ზარით დაუკავშირნენ ხსენებულ სოციალურ მუშაკს, რომელმაც განაცხადა, რომ მან მშობელს მიაწოდა ინფორმაცია ექსტერნის გამოცდების ფორმით სასწავლო პროგრამის დაძლევის შესაძლებლობაზე და არ ჰქონია საუბარი სხვა სახის შიდა გამოცდებზე. ეს რეკომენდაცია იქნებოდა ასახული შესაბამის დასკვნაშიც, რომელიც უახლოეს დღეებში გადაეგზავნებოდა როგორც მშობელს, ასევე სკოლას.*

აღნიშნული დასტურდება მშობელთან, სკოლის წარმომადგენლებთან და სოციალურ მუშაკთან გასაუბრებით და სკოლის დოკუმენტაციით.

<u>**კონფლიქტში მონაწილე მოსწავლის მშობლებთან განხორციელერბული ინტერვიუს ანალიზი:**</u>

კონფლიტში მონაწილე მოსწავლეების მშობლებმა განაცხადეს, რომ ისინი თავიდანვე იყვნენ ინფორმირებულები ბავშვებს შორის არსებულ დაპირისპირებაზე და მუშაობდნენ თავიანთ შვილებთან. სკოლის დირექცია და დამრიგებელი მუდიმვად უწყობს ხელს მოსწავლეებს შორის მეგობრული ურთიერთობის ჩამოყალიბებას. მშობლებმა აღნიშნეს, რომ მათი შვილების მიმართაც ჰქონდა ადგილი მომჩივანის შვილის მხრიდან ფიზიკურ დაპირისპიებას, თუმცა სკოლის მიერ განხორციელებული პრევენციებსა და მეთოდურ მიდგომებს სრულ ნდობას უცხადებენ და მზად არის ითანამშრომლონ მომჩივან მშობლებთან არსებული პრობლემის გადასაჭრელად.

ექსპერტებმა კითხვები დასვეს მომჩივანი მშობლის მიერ სკოლისათვის მიწერილ წერილში დაფიქსირებულ ფიზიკური ძალადობის ფაქტთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა კონფლიქტში მონაწილე სხვა ორ მოსწავლეს (რომლებიც მის შვილზე ძალადობენ). ექსპერტებმა კითხვა დაუსვეს მშობლებს თუ რა ინფორმაციას ფლოდნენ აღნიშნულთან დაკავშირებით და იყო თუ არა კონფლიქტი მათ შვილებს შორისაც. მშობლებმა ასეთი კონფლიქტის არსებობა არ დაადასტურეს.

<u>პირველი კლასის მშობლებთან განხორციელებული ინტერვიუს ანალიზი:</u>

სკოლაში არსებული ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შეფასების მიზნით, ინტერვიუ განხორციელდა პირველი კლასის მოსწავლეთა მშობლებთან. ინტერვიუზე სკოლაში გამოცხადდა 12 მოსწავლის მშობელი. მშობლები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ სკოლაში დაცულია მათი შვილების უფლებები და მაღალ დონეზეა უსაფრთოხების სტანდარტები. სწორედ აღნიშნული კრიტერიუმი გახდა მათთვის გერმანული სკოლის შერჩევის ერთ-ერთი საფუძველი. რამდენიმე მშობელმა ხაზი გაუსვა თავისი შვილის სკოლაში მარტივად ადაპტაციის ფაქტს და აღნიშნეს, რომ მათ შვილებს ყოველთვის უხარიათ სკოლაში სიარული. მათ ყოველდღიურ რეჟიმში აქვთ თავიანთ შვილებთან კომუნიკაცია განვლილ სასკოლო დღესთან დაკავშირებით და ბავშვებისგან არ სმენიათ თავიანთი შვილების ან მათი რომელიმე თანაკლასელის მიმართ რაიმე სახის ბულინგის და რთული კონფლიქტის თაობაზე. მშობლებმა გამოთქვეს ვარაუდი იმის თაობაზე, რომ მათ შვილებს კონფლიქტი, რომლის არსებობის შესახებაც გასაუბრების დროს ზოგადი ინფორმაციის სახით შეიტყეს, ბავშვებს არ აღუქვამთ განსაკუთრებულ და მძიმე დაპირისპირებად.
მშობლებმა მზაობა გამოთქვეს საჭიროებისამებრ ჩართულიყვნენ კლასის სხვა მოსწავლეების მშობლებთან თანამშრომლობისა და მეტად ჯანსაღი გარემოს შექმნის ხელშესაწყობად. მშობლებმა განსაკუთრებულად გაუსვეს ხაზი კლასის დამრიგებლის აქტიურ მუშაობასა და პოზიტიურ დამოკიდებულებას მათი შვილების მიმართ. ასევე, მათი შვილების მარტივად ადაპტაციას სასკოლო გარემოში.

<u>სკოლის დირექტორთან და დირექტორის მოადგილესთან განხორციელებული ინტერვიუს ანალიზი:</u>

როგორც ინტერვიუს დროს დადგინდა, დირექტორის მოადგილე საწყის ეტაპზევე იყო ჩართული პრობლემის მოგვარების პროცესში. დირექციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ პირველ კლასელი მოსწავლეების კონფლიქტს ვერ დაარქმევდა შეგნებულ ბულინგს, რადგან მოსწავლეებს არ ჰქონდათ გაცნობიერებული თავიანთი ქმედების შინაარსი. უფრო მეტიც, მომჩივანის შვილი მუდმივად ცდილობდა კომუნიკაციას მასთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან, რაც ხშირად სიტყვიერ და ფიზიკურ დაპირისპირებაში გადადიოდა. აღნიშნული ფონზე, სკოლა შემთხვევის სამართავად მიმართავდა ზომებს, ფსიქოლოგი გასცემდა კონსულტაციებს, ატარებდა ეთიკის გაკვეთილებს და

ახორციელებდა აქტივობებს. მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს ის, რომ კონფლიქტის მონაწილე ბავშვები არიან 6-7 წლის, პირველი კლასის მოსწავლეები. აქედან გამომდინარე, სკოლის რეაგირების მეთოდები შერჩეული იყო ასაკობრივი ჯგუფის შესაბამისად.

როგორც გამოიკვეთა, სკოლის მხრიდან რეაგირების ფაქტებს მშობელი არ უარყოფს, თუმცა აფასებს არაეფექტურად. მშობელი თავადვე აფიქსირებს, რომ პრობლემის გადაჭრის მცდელობებს ადგილი ჰქონდა კლასის დამრიგებლის და სხვა პედაგოგების მხრიდან, თუმცა მიღებულ ზომებს არ მიიჩნევს საკმარისად და შედეგიანად.

სკოლის მიერ განხორციელებული ღონისძიებები, რომლებიც შემდგომში პრევენციას ისახავდა მიზნად იყო შემდეგი:

- *დისციპლინური გადაცდომისთვის მოსწავლეებს მიეცათ „წითელი ბარათი".*
- *გაძლიერდა აღნიშნულ კლასში მოსწავლეებზე დაკვირვება. სკოლის ფსიქოლოგის მიერ განხორციელდა საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება და აქტიური უკუკავშირის გაზიარება.*
- *მშობლებთან განხორციელდა აქტიური კომუნიკაცია და კონფლიქტის გადაჭრის მიზნით შემუშავდა „ბრალდების გარეშე მიდგომა" (No Blame Approach), რომლის მიზანიც იყო მოსწავლის სკოლაში დაბრუნება, თუმცა მომჩივანმა მშობელმა ამაზე კატეგორიული უნარი განაცხდა.*
- *მიუხედვად ამისა, სკოლამ გადაწყვიტა ყოველკვირეული დავალებების პროტფოლიო ბავშვისთვის კვლავ მოემზადებინა, რათა მოსწავლეს აკადემიური კუთხით განვითარება არ შეეწყვიტა და კლასის დამრიგებლის მიერ ხორციელდებოდა მასალების მშობლისთვის მიწოდება სკოლის დაცვის თანამშრომლის შუამავლობით.*

სექსუალური ძალადობის ეპიზოდთან დაკავშირებით, დირექციის წევრებმა განაცხადეს, რომ აღნიშნულის შესახებ მშობელმა პირველად 2026 წლის 16 მარტის წერილში გააჟღერა, რის შემდეგაც, სკოლაში გამართულ შეხვედრაზე, ადმინისტრაციის წევრები ცდილობდნენ დეტალების დაზუსტებას, რათა შეესწავლათ მიწოდებული ინფორმაცია, თუმცა მშობელმა ვერ დაასახელა ვერც კონკრეტული პერიოდი და ვერც ადგილი.

ადმინისტრაციამ იმავე დღეს დაიწყო საკითხის შესწავლა მოსწავლეებში ჩატარებული გამოკითხვისა და ვიდეო ჩანაწერების გადამოწმების გზით. ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ ჩატარებული მოკვლევის შედეგად არ არსებობდა არანაირი საფუძვლიანი ეჭვი იმისა, რომ მსგავს ფაქტს შეიძლებოდა ადგილი ჰქონოდა. სკოლის ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ გადაამოწმა ვიდეო კამერების ბოლო პერიოდის ჩანაწერი, რისი გადამოწმების საშუალებასაც იძლეოდა შენახული ფაილები, თუმცა ჩანაწერში მსგავსი ინციდენტის შესახებ დასაბუთებული ვარაუდი არ გასჩენიათ. ბოლო პერიოდის ვიდეომონიტორინგის ჩანაწერების მიხედვით, არ ფიქსირდებოდა შემთხვევა, როდესაც კონფლიქტის მონაწილე კონკრეტული ბავშვები შეიძლებოდა მარტო აღმოჩენილიყვნენ. ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ ვიდეოკამერები აკონტროლებს სკოლის შიდა და გარე პერიმეტრს, ვიდეომონიტორინგი არ ხორციელდება მხოლოდ საპირფარეშოებსა და საკლასო

ოთახებში. საკლასო ოთახში მოსწავლეები მარტო არასოდეს რჩებიან, ყოველთვის არის მათთან დამრიგებელი ან მასწავლებელი, ხოლო სხვა ტერიტორიაზე აღნიშნული მოსწავლეების ერთად გადაადგილება, დამრიგებლის ან მასწავლებლის მეთვალყურეობის გარეშე, არ შეუმჩნევიათ. ასევე არ შეუმჩნევიათ იმ სივრცის მიმდებარედ აღნიშნული მოსწავლეების ერთად გადაადგილება, რომელიც ვიდეომონიტორინგის არეალში არ ხვდება და სადაც შეიძლებოდა მარტო აღმოჩენილიყვნენ. ბავშვები ყოველთვის იყვნენ მეთვალყურეობის ქვეშ და მათ შორის დაპირისპირებაც დამრიგებლის ან გახანგრძლივებულის პედაგოგის იმავე სივრცეში ყოფნისას ხდებოდა. თავად მშობელიც, ბავშვებს შორის მომხდარი ერთ-ერთი ფიზიკური დაპირისპირების აღწერისას აფიქსირებს, რომ დაპირისპირებას მისი და დამრიგებლის თანდასწრებით ჰქონდა ადგილი.

მას შემდეგ, რაც მოსწავლის გაცდენებმა გადააჭარბა 20 სასწავლო დღეს, სკოლამ გაცდენების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურის სამსახურის სოციალურ მუშაკს, რომელიც ჩაერთო მოსწავლესთან დაკავშირებული საკითხის შესწავლის პროცესში. სოციალურ მუშაკს გაეგზავნა დეტალური წერილობითი ანგარიში მოსწავლის შესახებ. მონიტორინგის განხორციელების დღეს, ექსპერტები გაესაუბრნენ სოციალური მუშაკს სატელეფონო კავშირის მეშვეობით. სოციალურმა მუშაკმა დაადასტურა, რომ ბავშვის შესახებ მიღებული ჰქონდა დეტალური ინფორმაცია და მომზადებული ჰქონდა დასკვნა. ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ კანონმდებლობის მოთხვოვნების შესაბამისად, კანონმდებლობით დადგენილი წესების დაცვით მოსწავლეს შეუჩერდა სტატუსი 2026 წლის 19 მაისს.

აღნიშნული დასტურდება ფსიქოლოგის ანგარიშით, მშობლებს, სკოლის ფსიქოლოგსა და ადმინისტრაციის სხვა წევრებს შორის არსებული მიმოწერით, ფსიქოლოგის სამოქმედო გეგმით, ინტერვენციის გეგმით, მოსწავლის სტატუსის შეჩერების შესახებ წერილობითი შეტყობინებით, სტატუსის შეჩერების ბრძანებით, სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურის სამსახურის სოციალურ მუშაკთან გაგზავნილი დეტალური ანგარიშით და გასაუბრებით.

<u>განცხადებაში დაფიქსირებული გარემოების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი:</u>

- მომჩივანის შვილი სკოლაში ირიცხებოდა 2025-2026 სასწავლო წლის დაწყებიდან. *კლასის დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისშივე იყო ინფორმირებული ბავშვებს შორის ურთიერთობაში წამოჭრილი პრობლემის შესახებ და აქტიურად იყო დაკავებული მოსწავლეებს შორის ურთიერთობაში არსებული პრობლემის მოგვარებით.* აღნიშნულ საკითხზე კლასის დამრიგებელს კომუნიკაცია ჰქონდა კლასის მასწავლებლებთან, დაპირისპირებული მოსწავლეების მშობლებთან და სკოლის ადმინისტრაციასთანაც. *ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის შედეგად დასტურდება ბავშვებს შორის არსებული პრობლემის მოსაგვარებლად სკოლის წარმომადგენლების აქტიური ჩართულობა მშობლებთან თანამშრომლობით. ფსიქოლოგმა წარმოადგინეს პორტფოლიო და განხორციელებული სამუშაოს ამსახველი დოკუმენტაცია, რომლითაც დასტურდება, რომ სკოლას ჰქონდათ შემუშავებული ზოგადი სამოქმედო და კონკრეტული ინტერვენციის გეგმა აღნიშნულ კლასში სამუშაოდ, ასევე, საკმაოდ ინტენსიურად მიმდინარეობდა ბავშვებთან და მშობლებთან კომუნიკაცია. კლასის მოსწავლეებს უტარდებოდათ დამრიგებლის საათი და ეთიკის გაკვეთილები. ფსიქოლოგმა მასწავლებლებთან ჩაატარა ტრენინგი ბავშვებთან კომუნიკაციის და კონფლიქტის გადაჭრის თემაზე. სკოლამ დაადასტურა, რომ კონფლიქტის პირველივე შემთხვევიდან მუშაობდნენ პრობლემის მოგვარებაზე და მონიტორინგის შედეგად არ გამოვლენილა ბავშვებს შორის არსებული კონფლიქტის უგულებელყოფის ფაქტი.*
- დირექციის წარმომადგენლების წერილობითი პასუხებით დგინდება, რომ სკოლის ადმინისტრაციას ჰქონდა მყისიერი რეაგირება მშობლის წერილებზე. ელექტრონულ ფოსტაზე შესულ მშობლის წერილებს სკოლა პასუხობდა იმავე დღეს და კომუნიკაცია გრძელდებოდა დასვენების დღეებშიც კი. *შესაბამისად, მოსწავლის მიმართ გულგრილი დამოკიდებულება და უფლებების უგულებელყოფა არ გამოიკვეთა.*
- 2026 წლის 01 მარტიდან, კერძო ფსიქოლოგის დასკვნის საფუძველზე, მშობლის გადაწყვეტილებით, მომჩივანის შვილს სკოლაში აღარ უვლია. მიუხედავად იმისა, რომ მშობლის მხრიდან არ განხორციელებულა ფსიქოლოგის დასკვნის კვალიფიციურობის დამდგენი რაიმე დოკუმენტის წარგდენა, სკოლის ფსიქოლოგი დაუკავშირდა კერძო ფსიქოლოგს და ერთობლივად შეთანხმდნენ ბავშვის სკოლაში დაბრუნების გეგმის შემუშავებაზე. *სკოლის ადმინისტარციის პოზიცია იყო ის, რომ სასწავლო პროცესიდან მოსწავლის ჩამოშორება ბავშვზე მოახდენდა უარყოფით გავლენას, გაართულებდა სასწავლო პროცესში ხელახლა დაბრუნებას და გააძლიერებდა მის შიშს სკოლის მიმართ. სკოლის ადმინისტრაცია მოუწოდებდა მშობლებს, ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით, მოსწავლე ეტარებინათ სკოლაში. ვიზიტის დღეს მოსწავლეს შეჩერებული ჰქონდა სტატუსი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, გაცდენების საფუძვლით. გაცდენებთან დაკავშირებით სკოლამ ინფორმაცია მიაწოდა და რეფერირება განახორციელა სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურის სამსახურის სოციალურ მუშაკთან.*

- ელექტრონულ ფოსტაზე განხორციელებული მიმოწერით დგინდება, რომ სკოლის ადმინისტრაცია კვლავაც გამოთქვამდა პრობლემის მოგვარების მიზნით კომუნიკაციაზე მზადყოფნას, მშობელი კი მადლიერებას გამოთქვამდა სკოლის დირექციის დროული რეაგირების, ყურადღებისა და ჩართულობისთვის. ***ბავშვებს შორის კონფლიქტების პრევენციისა და დამდგარ კონფლიქტზე რეაგირების ეფექტურობისთვის, მნიშვნელოვანია მშობლისა და სკოლის მჭიდრო თანამშრომლობა. მას შემდეგ რაც სკოლამ მშობელს შესთავაზა კონკრეტული გეგმა, მოსწავლე სკოლაში არ გამოცხადებულა, თებერვლის არდადეგების დასრულების შემდეგ. შესაბამისად, ფსიქოლოგის მიერ შემუშავებული და მშობელთან შეთანხმებული ინტერვენციის გეგმის განხორციელება ვერ მოხერხდა. ასევე, ვერ შედგა ბავშვთან გასაუბრება.***
- 2026 წლის 9 მარტს სკოლაში მშობელსა და ადმინისტრაციას შორის შედგა შეხვედრა, რომელზეც განხილულ იქნა ბულინგის პრევენციის პროგრამის ინტერვენციის გეგმა ,,No-Blame-Approach''. თუმცა მშობელი არ დაეთანხმა აღნიშნულ გეგმას, ვინაიდან თვლიდა, რომ საქმე ეხებოდა ბულინგის რთულ შემთხვევას, ხოლო ეს გეგმა გამოყენებული უნდა ყოფილიყო საწყის ეტაპზე. მშობლის მოთხოვნა იყო ე.წ. ბულინგის განმახორციელებელი მოსწავლის სკოლიდან გარიცხვა ან 2-2 კვირის მონაცვლეობით სასწავლო პროცესში კონფლიქტში მყოფი მოსწავლეების რიგრიგობით მონაწილეობა, რასაც სკოლა არ დაეთნახმა. ***სკოლის მიერ შემუშავებული ბულინგის საწინააღმდეგო ჩარჩო-დადგენილება მოსწავლის არც დროებით და არც მუდმივად გარიცხვას არ ითვალისწინებს.***
- მშობლის მოთხოვნა იყო დისტანციური სწავლების მიღება, რაზეც ადმინისტრაციამ მოსთხოვა, რომ წარედგინათ საქართველოში არსებული დაწესებულებების სამედიცინო დასკვნა, რათა დადგენილიყო მისი შინ სწავლებაზე გადაყვანის საფუძველი. ასევე, მშობელს სთხოვდა წარედგინა საქართველოში ლიცენზირებული ფსიქოლოგის ოფიციალური დასკვნა, რადგან მხოლოდ უცხოეთში მყოფი კერძოს ფსიქოლოგის დასკვნას ვერ დაეყრდნობოდა. ვინაიდან მოსწავლეს ჰქონდა ენობრივი ბარიერი, სკოლის ფსიქოლოგმა თავად მოიძია ნეიროგანვითარების ცენტრები, სადაც რუსულენოვანი და გერმანულენოვანი ფსიქოლოგების შეფასების მიღებას შეძლებდს მშობელი. მშობელმა აღნიშნული დახმარების გამოყენებაზე უარი განაცხადა, რადგან თვლიდა, რომ პრობლემა მდგომარეობდა სკოლის არაჯეროვან რეაგირებაში და არა ბავშვის შეფასებაში.
- სკოლის წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ სამ ბავშვებს შორის ნამდვილად იყო კონფლიქტური სიტუაცია, მაგრამ აღნიშნულზე ჰქონდათ მყისიერი რეაგირება და მუდმივი კომუნიკაცია მშობლებთან და ბავშვებთან. გარკვეული ფიზიკური დაპირისპირების შესახებ ინფორმაცია მათ 2026 წლის 27 თებერვლის წერილით შეიტყვეს, თუმცა რამდენიმე მათგანი არ დაადასტურეს, ხოლო ფაქტებზე, რომლებიც დადასტურებული იყო, გაატარეს დისციპლინური ზომები შიდა რეგულაციები მიხედვით და წარმოადგინეს შესაბამისი დამადასტურებელი მტკიცებულებები.
- სკოლის წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ შარვლის ჩამოწევის მცდელობის ფაქტს ნამდვილად ჰქონდა ადგილი, თუმცა აღნიშნულ ფაქტზეც განხორციელდა რეაგირება, როგორიც იყო ***მშობლებთან და ბავშვებთან წერილობითი და ზეპირი კომუნიკაცია,***

დამრღვევი მოსწავლის მიმართ „წითელი ბარათის" გამოყენება, ეთიკის გაკვეთილზე ზოგადი საუბრები ქცევის წესების და ერთმანეთის ღირსების ხელშეუხებლობის შესახებ.

- მიუხედავად იმისა, რომ მომჩივანის შვილი არ დადიოდა სკოლაში, კლასის დამრიგებელი ყოველი კვირის ბოლოს აწვდიდა სასწავლო მასალას მშობელს იმისათვის, რომ არ მომხდარიყო მოსწავლის სასწავლო პროცესიდან ჩამორჩენა. გარდა ამისა, სკოლის ადმინისტრაცია მუდმივად მოუწოდებდა მშობლებს, ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე, ეტარებინათ სკოლაში და ჩაერთოთ სასწავლო პროცესში. ბოლო წერილობითი კომუნიკაცია სკოლასა და მშობელს შორის განხორციელდა 2026 წლის მაისში, რომლითაც სკოლამ მშობელს შეატყობინა მოსწავლისთვის სტატუსის შეჩერების შესახებ და მიაწოდა ინფორმაცია სტატუსის აღდგენის შესაძლებლობაზე.
- რაც შეეხება სექსუალური ხასიათის ძალადობას, აღნიშნულთან დაკავშირებით, ფაქტის შეტყობისთანავე, 2026 წლის 16 მარტს სკოლამ დაიწყო შიდა მოკვლევა. კერძოდ, განხორციელდა სასწავლო პროცესში ჩართულ პირებთან, კლასის დამრიგებელთან, მასწავლებელბთან გასაუბრება, რომლებმაც გამორიცხეს ასეთი ფაქტის არსებობა. ზოგადი ხასიათის გასაუბრება შედგა მოსწავლეებთანაც. ადმინისტრაციამ შეამოწმა სკოლის ტერიტორიაზე განხორციელებული ვიდეომონიტორინგის ჩანაწერები. სკოლის შიდა და გარე პერიმეტრზე ხორციელდება ვიდეომონიტორინგი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან 2021 წლის 28 მაისს შეთანხმებული უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესის შესაბამისად.
- *პირველი კლასის მშობლებმა სასკოლო გარემო დაახასიათეს როგორც უსაფრთხო და მოსწავლეზე ორიენტირებული. სკოლამ წარმოადგინა გასული სასწავლო წლის ბოლოს განხორციელებული სასწავლო პროცესის უსაფრთხოების შეფასების კითხვარის ანალიზი, რომლითაც დასტურდება სკოლაში პოზიტიური და უსაფრთხო გარემოს არსებობა.*
- *სკოლას შემუშავებული აქვს ბულინგის პრევენციის პოლიტიკა და სოციალური-ემოციური უნარების განვითარების აქტივობები.*

<u>განცხადებაში დაფიქსირებულ გარემოებებთან დაკავშირებით განხორციელებული მონიტორინგის შედეგად, ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა სკოლის მიერ გატარებული ღონისძიებები და დადგინდა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების დარღვევა სკოლის მხრიდან არ დგინდება.</u>

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

თარიღი: 23.06.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

Ia Kuridze 61001057014

Digitally signed by Ia Kuridze
Date: 2026.06.23 14:24:58

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: